

ანთროპონიმთა ქართული ეროვნული ფორმები

ქართულ ენაში გავრცელებულ ანთროპონიმთა საკმაოდ დიდი ნაწილი ნასესხებია სხვა ენებიდან — როგორც ქრისტიანული კულტურის (ბერძნული, ლათინური...), ისე მაჰმადიანური კულტურის (ირანული, არაბული, თურქული...) წილიდან.

იმისდა მიუხედავად, თუ რომელია (ან როგორია) მსესხებელი, ანუ წყარო-ენა, ნასესხები საკუთარი სახელები (ტოპონიმები, ანთროპონიმები) ეგუება შემთვისებელი ენის შინაგან ბუნებას და ემორჩილება ამ ენაში მოქმედ კანონებს. ამ მხრივ გამონაკლისს არც ქართული ენა წარმოადგენს. ქართულის მიერ შეთვისებული მრავალი სახელი ამჟამად ისე „გაქართულებულია“, რომ ხშირად ჰირს კიდევ მათი მიჩნევა ნასესხებ სახელებად.

1. ოფიციალური ფორმები.

საზოგადოდ ქართულში ანთროპონიმები — თავიანთი განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე — მიისწრაფვიან ხმოვნიანი დაბოლოებისაკენ. საკუთრივ ქართული (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეთად ცნობილი) სახელების უმრავლესობა ხმოვნებზე თავდება, ძირითადად **ა, ე, ო, უ** ხმოვნებზე, იშვიათად — **ი** ხმოვანზე: მაგ.: **ლელა, მზია, ნათელა, ციალა, გელა, ზაზა, ვაჟა, უჩა, ძუკუ, ცოტნე, დოდო** და მისთ. ანლაუტისათვის ანუ სახელთა დასაწყისისათვის მსგავსი შეზღუდვები არ შეინიშნება.

ამგვარი მიდრეკილების გამოა, რომ ქართული ენა სესხებისას უფრო „ეტანებოდა“ ხმოვნებზე, სონორებსა თუ მქლერ თანხმოვნებზე ფუძეგათავებულ სახელებს. გამომანგარიშებულია, რომ ქართულში საკუთარ სახელთა 92,6 % თავდება ხმოვნებსა და სონანტებზე¹. მაგალითად: **გიორგი, აკაკი, მათე, პეტრე, პავლე, ლუკა... ომარ, ოთარ,**

¹ Surab Tschumburidse, Die Struktur der georgischen Vornamen, Wissenschaft. Ztschr. Friedrich-Schiller-Univ. Jena, Ges.-Sprachwiss. R. 26 1 g (1977), H. 1.

ზაალ, ჯემალ, დემურ, აბრამ, ახესალომ, ქეთევან, რუსუდან, დარეჯან...
თამაზ, თეიმურაზ, ფარნავაზ//ფარნაოზ, ვახტანგ, ლუარსაბ, ჯიმშედ
და მისთ.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა ანთროპონიმთა ფუძეები წყარო-ენა-
ში ყრუ თანხმოვნებზე თავდებოდა, ქართულ ნიადაგზე მოხდა მათი
გამჟღერება. ასეა, მაგალითად, მიღებული: **რომანოზ**—**რომანოს**, **ანთი-**
მოზ—**ანთიმოს**, **სტეფანოზ**—**სტეფანოს** და მისთ. დადგენილია, რომ
ბერძნული მამაკაცთა სახელები ქართულში წარმოდგენილია სახელო-
ბითის (უთანხმოვნო აუსლაუტიანი) ან წოდებითის ფორმებით, რო-
მელთაგან ჭარბობს ვოკატივის ფორმები². მაგალითად: **პეტრე**, **პავლე**,
ივანე და ა. შ. ერთი და იგივე სახელი შეიძლება პარალელური ფორმე-
ბითაც შეგვხვდეს, თუმცა ეს იშვიათია, მაგ.: **იულონ** (სახ.) და **ივლია-**
ნე (წოდებ.).

2. კნინობით-მოფერებითი ფორმები³.

ქართულში კნინობით-მოფერებითი ეროვნული ფორმები წარ-
მოადგენენ ან გრძელ ოფიციალურ სახელთა თავისებურად შემოკლე-
ბულ (მოკვეცილ, შეკუმშულ) ფორმებს (მაგ., **ნიკო**—**ნიკოლოზ**, **ფარ-**
ნა—**ფარნაოზ**), ან პირუტყვ — სხვადასხვა სუფიქსის მეშვეობით მოკლე
ოფიციალური სახელის დაგრძელებულ ფორმებს (**ანიკო//ანუკა**—**ანა**,
ნინიკო//ნინუცა—**ნინო**, **ვაჟიკა//ვაჟიკო**—**ვაჟა**). შედარებით იშვიათია
თანაბარი სიგრძის ოფიციალური და კნინობით-მოფერებითი ფორმე-
ბი: **დათია//დათუა**—**დავით**, **გოგიტა**—**გიორგი**, **გიგოლა**—**გრიგოლ**⁴.

ყველა შემთხვევაში კნინობით-მოფერებითი ფორმების წარმოება
გარკვეულ წესებს მისდევს. ქვემოთ განვიხილავთ ამ წესთაგან ზოგი-
ერთ ყველაზე გავრცელებულს.

თუ ოფიციალური ფორმების ანლაუტი **vc** სტრუქტურისაა (**ანა**,
ელენე, **ოლა**, **ელიზბარ...**), კნინობით-მოფერებითი ფორმების საწარ-
მოებლად ძირითადად საკმარისია ამ კომპლექსის გამეორება, მაგ.,
ანა—**ანიკო//ანუკა**, **ელენე**—**ელიკო**, **ავთანდილ**—**ავთო**, **ელიზბარ**—
—**ელიბო**, **ოლა**—**ოლა//ოლიკო**. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხ-

2 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნულ მამაკაცთა სახელების გადმოცემა ქარ-
თულში, სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1955,
გვ. 148, 161.

3 ეს ფორმები ამოღებულია ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონიდან
(შემდგენ. ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი), თბ., 1968.

4 ორივე შემთხვევაში — ოფიციალური და კნინობით-მოფერებითი ფორმების
შემთხვევაში — სახელები წარმოდგენილია მიმართვის ფორმით.

(ან ნაკლებად რედუცირებულ) თანხმოვანზე გათავებული სახელები. ამ შემთხვევაში ბოლოკიდური თანხმოვანი წინ გადმოინაცვლებს — პირველივე ხმოვნის შემდეგ. მაგ.: **დათო//დათა//დათიკო//დათუნა** — **დავით, რეზო.—რევაზ.**

ზოგჯერ კნინობით-მოფერებითი ფორმა იმდენად შორდება ოფიციალურს — იმეორებს ოფიციალური ფორმის მხოლოდ ერთ ან ორ ბგერას (მაგ.: **ფეფო—ეფემია, სიკო—სიმონ**)⁵, ზოგჯერ უკუმიმდევრობითაც კი (მაგ.: **სოსო—იოსებ**), რომ მხოლოდ ეროვნული ტრადიცია შემოინახავს მათ შორის დამყარებულ კორელაციას. ასე, მაგალითად, მოფერებითი ფორმა **ნუცა**, რომელიც **ნინოსაგან** მომდინარეობს, გასაგები ხდება მხოლოდ შუალობითად — უფრო რთული მოფერებითი ფორმის — **ნინუცას** — მეშვეობით, რომელიც შემდგომ გამოდევნა უფრო მოკლე და ამიტომ უფრო მოხერხებულმა ფორმამ.

კნინობით-მოფერებითი ფორმები ქალთა და ვაჟთა სახელებისა ზოგჯერ ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა მათი წყარო სხვადასხვაა. მაგალითად, ერთ შემთხვევაში მოფერებითი ფორმა **გულიკო** მიღებულია ქალის სახელისაგან **გულნარა**, მეორე შემთხვევაში კი — სახელისაგან **გულო//გული**, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება აპელატივს „გული“. **გულიკო** ამჟამად იხმარება როგორც ქალის, ისე მამაკაცის საკუთარ სახელად, ისევე როგორც **სულიკო**, რომლის წყაროა საზოგადო სახელი „სული“ ან აქედან მიღებული ვაჟის სახელი **სულა**. იგივე კნინობით-მოფერებითი ფორმა წარმოადგენს ფონეტიკურ სახეცვლილებას სხვა კნინობით-მოფერებითი ფორმისა — **სოლიკო** (ამოსავალია **სოლომონ**). ერთნაირი ანლაუტი აქვს აგრეთვე ორ ქალის სახელს — **გულნაზს** და **გულქანს**. მოფერებითი ფორმები დიფერენცირებულია: **ნაზი** და **გუქა**, შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, როცა კნინობით-მოფერებითი ფორმა მეტისმეტად შორდება ოფიციალურს და მათ შორის კავშირი ოდნავლაა ხელშესახები (მეორდება ერთი ან ორი ბგერა, ზოგჯერ უკუთანმიმდევრობითაც), სრული საფუძველი ჩნდება იმისა, რომ სინქრონიულ სიბრტყეზე ისინი დამოუკიდებელ სახელებად მივიჩნიოთ (როგორცაა, მაგალითად, **ნინო** და **ნუცა**).

*

*

*

ომისშემდგომ პერიოდში, მეტადრე ორმოცდაათიან-სამოციანი წლებიდან, თითქმის მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი ქალაქებ-

⁵ ანალოგიისათვის შდრ. შემდეგი წყვილები რუსულში: **Александр** და **Саша** ან **Саня**, **Александра** და **Шура**.

ში იგრძნობა ლტოლვა მოკლე, ლაკონიური სახელებისაკენ. შეინიშნება გრძელ სახელთა გამარტივების ტენდენცია, ამასთანავე, მრავალი ნასესხები (ძირითადად ბერძნულიდან) სახელის გაიშვიათება, უპირატესად ისეთებისა, როგორცაა: **ამბროსი, აპოლინარია, ანაპოდისტე, ბენედიქტე, თეოფანე, ეფროსინე, მალაქია, კალისტრატე** და მისთ, და თუ დღესდღეობით ეს სახელები ჩვენში მთლიანად არ გამქრალა, ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ წინაპართა უკვდავყოფის ადგილობრივ ტრადიციაში — ჩვილთათვის ბებია-ბაბუის სახელების, ან ომში (იგულისხმეთ მეორე მსოფლიო ომში) დაღუპულ ოჯახის წევრთა სახელების შერქმევაში.

გრძელ სახელთა გამარტივება-შემოკლების ტენდენციის ერთგვარი გამოხატულებაა აგრეთვე მიდრეკილება შედგენილობის მიხედვით უფრო მარტივი აღმოსავლური სახელებისადმი, რომლებიც ორი (უფრო იშვიათად — სამი) მარცვლისაგან შედგება და მსუბუქი, ადვილად გამოსატქმელი სონანტიანი აუსლაუტი აქვს. მაგ.: **ოთარ, ომარ, ნოდარ, თამაზ, რამაზ, ჭემალ, თემურ, თენგიზ** და ა. შ.

აღნიშნული ტენდენცია თავის დაღს ასვამდა საკუთარ სახელთა გავრცელებულობა-სიხშირესაც. იმის გამო, რომ სახელთა შემადგენლობა მეტ-ნაკლებად ერთგვარი შეიქნა, რამდენადმე შეიზღუდა თვით სახელთა რაოდენობაც. ეს განსაკუთრებით ითქმის ქალთა სახელების მიმართ, რომლებიც ვაჟთა სახელებთან შედარებით ისედაც მცირერიცხოვანია (იგულისხმეთ **ნანა, მარინე, მანანა** ტიპის სახელთა დიდი სიხშირე-გავრცელებულობა).

უკანასკნელ ხანებში (დაახლოებით 10-15 წლის მანძილზე) შეინიშნება ერთგვარი ზრდა ანთროპონიმთა მრავალფეროვნებისა საკუთრივ ქართული სახელების ანდა უძველეს ნასესხობათა, ამჟამად კი უკვე „გაქართულებული“ სახელების გამოცოცხლების ხარჯზე: **კახა, ლაშა, ზაზა, მამუკა, ცოტნე, თორნიკე, პაატა, რატი, ბექა, ჯაბა, ლელა, ნათია, გელა** და მისთ.⁶ სიმპტომატურია, რომ შემოჩამოთვლილ სახელებს ძნელად ეწარმოება კნინობით-მოფერებითი ფორმები: თვითონ აღიქმებიან ასეთებად. მაშასადამე, თავი იჩინა ერთადერთფორმიანი სახელების ხმარების და პარალელიზმის თავიდან აცილების ტენდენციამ.

ამავე კონტექსტშია განსახილველი უკანასკნელ ხანებში ფართოდ გავრცელებული ის ოფიციალური ფორმებიც, რომლებიც ამჟამად

⁶ ვეყრდნობით ვაზ. „თბილისის“ სამგლოვიარო განცხადებებიდან ამოკრებილ მასალას, რომელშიც აღნიშნული სახელებით უპირატესად იწოდებიან შვილიშვილებად ან შვილთაშვილებად გამოცხადებული ქირსიუფლები.

ფუნქციონირებენ, როგორც ერთადერთი — მოფერებითი — ფორმები.
მაგ.: გიორგი, ერეკლე, ელენე, ნინო, სალომე, რუსუდან, დარეჯან და
ა. შ.

ეს მოვლენა სახელებისადმი თანამედროვე დამოკიდებულებისა
და, აქედან გამომდინარე, ანთროპონიმთა ნომინაციის თანამედროვე
ვითარების ამსახველია.